ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7813728

ნომერი: AR11126171

თარიღი : 27.01.2026

გაცემის თარიღი : 19.02.2026

გაცნობის თარიღი : 19.02.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კობარეთი , N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მორჩაძე პ/ნ 60001040122
- თბილისი ნ.რამიშვილის 5ბ

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. სამსახურში არსებული მონაცემების თანახმად, მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს (17/10/2024წ. AR11062347 განაცხადი) მრვალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, აღნიშნულ განაცხადზე წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის ცხრილში, გათვალისწინებულია შენობების დემონტაჟი, შესაბამისად გაურკვევლია ამჟამად თქვენი მოთხოვნა, აღნიშნულის გათვალისიწნებით საჭიროა დაკორექტირდეს მოთხოვნა და საქმის წარმოება წარიმართოს შესაბამისად.
2. წარმოდგენილ იქნეს დემონტაჟის პროექტი, არსებული ნაგებობების ნახაზები.
3. განიმარტოს ინფორმაცია იგივე მოთხოვნით დაყენებულ 15/01/2026წ. AR11124964 განაცხადთან დაკავშირებით.

ვინაიდან თქვენს მიერ კვლავ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები და სამსახურის მიერ ინფორმირებული იყავით აღნიშნულის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ, სამსახური იტოვებს უფლებამოსილებას წინამდებარე განაცხადი დარჩეს განუხილველი.